ხელშეკრულება №3/196

ქ. თბილისი 9 აგვისტო 2012 წელი

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“, მისი დირექტორის თორნიკე შიოლაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული როგორც “შემსრულებელი”) ერთის მხრივ და ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის 84-ე საჯარო სკოლა, მისი კანონიერი წარმომადგენლის ჯანა ავალიანის სახით (შემდგომში წოდებული როგორც “დამკვეთი”) მეორის მხრივ, საქართველოში მოქმედი კანონების და საწარმოს დებულების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს სკოლის ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი ქონების განადგურება-დამარხვის მომსახურებას ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (შემდგომში “მომსახურება”).

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს. ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2 დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 **შემსრულებელი ვალდებულია:**

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.2 **შემსრულებელს უფლება აქვს:**

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 დამკვეთისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 **დამკვეთი ვალდებულია:**

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 **დამკვეთს უფლება აქვს:**

3.4.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში წერილობითი ფორმით ან ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ: 2619050) აცნობოს შემსრულებელს.

3.5 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 1 ტონა სარეალიზაციოდ უვარგისი და ვადაგასული პროდუქციის განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 14 ლარს დღგ-ს ჩათვლით. თუ დადგინდება რომ გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის წონა შეადგენს 1 ტონაზე ნაკლებს, დამკვეთი იხდის 1 ტონის მომსახურების საფასურს.

4.3. დამკვეთი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღეში.